№ 137

1877—1897

№ 137

ოთხშაბათი, 9 ივლისი 1897 წ.

ოთხშაბათი, 9 ივლისი 1897 წ.

# ივერია

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 1 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 60 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თავ. მელიტონ გლახას ძე მიქელაძე შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისას და მეორენი ძვირფასის დედისას,

**კნეინა მეტია მიქელაძისას**

(დაბადებით თავადის ასული მიქაძისა),

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ განსვენებულის დაკრძალვაზედ შაბათს, 12 ივლისს, დილის 10 საათზედ

**სოფ. წილორში**

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ყოველ დღე. (2—6.—1)

**კბილის საექიმო კაბინეთი**

**ვარლამ იოსების ძის ჭიჭინაძისა**

16 ივლისიდგან ახალს სახლში იქმნება გადატანილი: მიხეილის ქუჩა, № 81, სლივიცკის სახლი (იქ სადაც კინინას მუსიკალური სკოლა იმყოფებოდა).

## მთავრობის განკარგულებანი

### მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

საზოგადოების გამგეობა, იმისი უფლებანი და მოვალეობანი.

§ 44. საზოგადოების საქმეთა მმართვა და მეთვალყურეობა გამგეობასსა აქვს მინდობილი, რომელიც (აქა-და აქ) იმყოფება და (ამდენის) წევრისაგან შესდგება; გამგეობის წევრებს წარმომადგენელთა კრება ირჩევს საზოგადოების წევრთა შორის სამის წლის ვადით.

შენიშვნა. 1. გამგეობის წევრად შეიძლება არჩეულ იქმნას ყველა, ვისაც ერთი მთელი წილი მაინცა აქვს.

შენიშვნა. 2- გამგეობის წევრთა რაოდენობა წარმომადგენელთა კრების სურვილზეა დამოკიდებული; აქ მნიშვნელობა აქვს თვით საზოგადოების სავაჭრო სამრეწველო ოპერაციებსაც (შეიძლება თითოეულის სავაჭრო და სამრეწველო დარგისათვის ცალკე წევრი აირჩიონ).

შენიშვნა 3. საზოგადოების ის წევრნი, რომელთაც საზოგადოებისათვის საქონელი მოაქვთ, ან ერთი და იგივე სავაჭრო აქვთ და საზოგადოებაში ნოქრებად არიან, გამგეობის წევრად არჩევის უფლება არა აქვთ.

§ 45. თუ რომ გამგეობის წევრი დიდის ხნობით დათხოვება სადმე, ავად იქმნება, მოკვდება, ან ვადის გასვლამდე გამგეობას თავს დაანებებს, მაშინ მის მაგიერობას კანდიდატი ეწევა, რომელსაც აგრეთვე ირჩევს წარმომადგენელთა კრება თანახმად გამგეობის წევრთა რაოდენობისა; გამგეობის წევრთა კანდიდატებს, რაც-კი ხანს გამგეობის წევრებად არიან, ყველა ის უფლება და უპირატესობა აქვთ მინიჭებული, რაც ნამდვილს წევრებს.

§ 46. გამგეობის წევრთა და მათის კანდიდატების არჩევის დღიდგან ერთის წლის გასვლის შემდეგ წარმომადგენელთა კრების-მიერ განსაზღვრულმა რიცხვმა წევრთა და კანდიდატებისამ პირველს წელიწადს წილის ყრით, ხოლო შემდეგ უფროსობით, თანამდებობას თავი უნდა დაანებონ ხოლმე და მაგიერად ახალი გამგეობის წევრები და კანდიდატები იქმნენ ამორჩეულნი.

შენიშვნა. თუ რომ მოისურვებენ, გამგეობიდგან გამოსულ წევრებსა და კანდიდატებს უფლება აქვთ კვლავ იქმნენ ამორჩეულნი.

§ 47, კანდიდატი, რომელსაც გამგეობის წევრის ადგილი უჭირავს გამგეობაში, მხოლოდ დანიშნულ ვადამდე უნდა დარჩეს, ე. ი. იმ ვადამდე, სადამდეც ნამდვილი წევრი იყო ამორჩეული, და შემდეგ-კი თავი უნდა დაანებოს.

§ 48. გამგეობის წევრნი წარმომადგენელთა კრების შემდეგ ყოველ წლივ ირჩევენ თავმჯდომარეს თავისს წევრთა შორის, აგრეთვე ირჩევენ თავმჯდომარის მოადგილეს, ხაზინადარსა და მდივანს.

შენიშვნა. ხაზინადრისა და მდივნის თანამდებობა შეიძლება ერთსა და იმავე წევრს დაევალოს.

§ 49. გამგეობის წევრთ საზოგადოების საქმეთა მმართველსათვის შეუძლიანთ სასყიდელიც მიიღონ,—ან გადაჭრილი ჯამაგირი დაენიშნოთ, ან და საზოგადოების მოგებიდგან მიეცეთ ის წილი, რომელსაც წარმომადგენელთა კრება დაუნიშნავს.

§ 50. საზოგადოების ყოველს საქმესა და აგრეთვე თანხას გამგეობა განაგებს. მისს მოვალეობას შეადგენს:

ა) მიიღოს, მისცეს და შეინახოს საზოგადოების თანხა და აგრეთვე სარგებლიანი ქაღალდები იმ წესით და რიგით, რომელსაც წარმომადგენელთა კრება უჩვენებს;

ბ) აწარმოვოს ყოველივე ანგარიში და, თანახმად 59—61 §§-სა, წლიური ანგარიში, ბალანსი, ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო გეგმა შეადგინოს;

გ) საზოგადოების სამსახურისთვის კაცები მოიწვიოს, საქმე და ჯამაგირი დაუნიშნოს და აგრეთვე დაითხოვოს;

დ) იყიდოს, გაჰყიდოს, სხვა და-სხვა სახმარებელი და საოჯახო საგნები შეინახოს და თვალ-ყური ადევნოს, რომ ყოველივე სავაჭრო კარგის თვისებისა იყოს;

ე) გაიგოს საქონლის თვისება, რომელიც საჭიროა აგრეთვე დამზადებულ იქმნას, და მისს შესამენად საშუალება მოსძებნოს (ნაღდ ფულად თუ ნისიად შეიძინოს);

ვ) საზოგადოებას ახალ-ახალი წარმოება მოუპოვოს და განაგოს, ჭმართოს იგი;

ზ) გამოსძებნოს საშუალებანი, რომ საოჯახო და სხვა-და-სხვა სახმარებელი საგანი უკეთესის თვისებისა და უფრო იაფად ისყიდებოდეს;

(?) საწყობები, სახლები და სხ., რაც-კი საზოგადოების ოპერაციებისთვის საჭიროა, დაიქირავოს;

თ) საზოგადოების ქონება დააზღვევოს;

ი) ამლიოს და მიიღოს გასანაღდებელი თამასუქები და სხვა ამგვარი სავალო ვალდებულებანი იმ ზომითა და წესით, რომელიც წარმომადგენელთა კრებისაგან არის დადგენილი;

კ) საზოგადოების სახელით პირობით შეეკრას, რომ საზოგადოებას საჭირო საქონელი მოუვიდეს;

ლ) ამლიოს რწმუნების ქაღალდები იმათ, ვისაც საზოგადოების სამსახურში ჩარიცხავს გამგეობა,—აგრეთვე იმათაც, ვისაც თითონ წარმომადგენელთა კრება მიიღებს;

მ) კანონიერი აქტი შეადგინოს, როდესაც უძრავს საკუთრებას ან იძენს და ან ჰყიდის;

ნ) საზოგადოების ახალი წევრები მიიღოს და

ო) საზოგადო კრება მოიწვიოს ხოლმე; საზოგადოდ ყოველსავე საქმეს, რომელიც-კი წარმომადგენელთა კრების დადგენილებით საზოგადოებას შეეხება, გამგეობა ჭმართავს და განაგებს.

მახლობელი წესი და რიგი საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა. მისნი უფლებანი და მოვალეობანი აღინიშნებიან ინსტრუქციებში, რომლებსაც დროგამოშვებით წარმომადგენელთა კრება დაამტკიცებს და შესცვლის.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 136.

---

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო პორუჩიკობა: მე-81 აპშერონის მათის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის სახელობის რაზმის პოდპორუჩიკს ქართველიშვილს; მე-83 სამურის მათის იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავარის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სახელობის რაზმის პოდპორუჩიკს თავად ციციშვილს; მე-84 შირვანის მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის რაზმის პოდპორუჩიკს კაპანაძეს; მე-155 ყუბანის რაზმის პოდპორუჩიკს თეთრუაშვილს; მე-156 განჯის გენერალ თავად ციციშვილის სახელობის რაზმის პოდპორუჩიკს თავად ხიმშიაშვილს; სალიანის სათადარიგო ჯარის პოდპორუჩიკს თეთრუაშვილს; კაპიტნობა—ასლანდუზის სათადარიგო ბატალიონის შტაბს-კაპიტანს ჟღენტის.

ებოძა სამსახურის წელთა შესრულების გამო განჯის ოლქის სასამართლოს წევრად ნამყოფს თულაშვილს—სტატსკი სოვეტნიკობა.

დამტკიცებულ იქმნა კოლეჟსკი სეკრეტარის ხარისხში ტფილისის საკონტროლო პალატის მოხელე თავადი აბაშიძე.

## ახალი ამბავი

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ბ.-ნი ა. ი. ივანოვი ამ თვის ნახევარში საზაფხულოდ შიდა რუსეთში მიდის. დროებით იმის თანამდებობას ასრულებს ბრალმდებლის ამხანაგი ბ-ნი ა. ი. რიბინი.

⁂ კვირას, 6 ივლისს, ტფილისში ყალბი ხუთმანათიანები აღმოუჩენიათ ბრინჯაოსაგან ხელოვნურად გაკეთებული. ამბობენ, რომ ეს ფული საზღვარ გარეთაა ჩამოსხმულიო.

⁂ 28 ივნისს ალექსანდრეს ბაღის მახლობლად სასტუმროს „გრაანდ-ჰოტელის“ პირდაპირ, ცხენის რკინის გზის მატარებელმა № 66, ქვეშ მოიტანა 8—9 წლის ყმაწვილი. მატარებელში მჯდომთ ბევრი უყვირეს თურმე მეეტლეს, გააჩერე მატარებელიო, მაგრამ იმან არ შეისმინა. შემდეგ ბევრი უსაყვედურეს თურმე მეეტლეს მგზავრებმა, მაგრამ იგი იმითი ჰმართლულობდა თავს, რომ აღმართში ნება არა მაქვსო მატარებელი გავაჩეროო. საკვირველი წესებია სწორედ ამ ჩვენ ტფილისში!

⁂ ტფილისის სახაზინო პალატის წინადადებისა თანახმად, უსინათლოთა სკოლისათვის 1,600 მან. გადაუდვია მთავრობას.

⁂ პოლიციის მე-5 განყოფილებაში ანჩის ხატის ქუჩაზედაც აღმოჩენილა საქონლის ჭირი.

⁂ დღეს, 9 ივლისს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა ექნება იმის შესახებ, თუ რა ნაირად და როგორ უნდა იქმნას შემუშავებული ახალი კანონი ჭირიანის საქონლის დახოცვისა და სხვა საქმეთა შესახებ, რომელთათვისაც ამ მიმდინარე წელს შემოდგომაზედ საზოგადო კრება იქმნება დანიშნული.

⁂ ქ. ტფილისის პოლიციის მე-5 განყოფილების ბოქაულის თანაშემწე ბაბალოვს შუამდგომლობა დაუწყვია 100 მან. იქმნას გადადებული იმ აზრით, რომ ფოტოგრაფიული აპპარატი და სხვა საჭირო მასალა შეიძინოს და ტფილისის ყველა ჯიბგირებისა, ქურდებისა და სხვა ბოროტმოქმედთა სახეები გადაიღოს. ბაბალოვს ამ რიგად აზრადა აქვს მთელი ალბომი იქონიოს სხვა-და-სხვა ბოროტმომქმედთა და პოლიციის ყველა განყოფილებას დაურიგოს, ომ საჭიროების დროს ადვილად აღმოაჩინონ და შეიპყრან ხოლმე დამნაშავე.

⁂ კავკასიის რკინის გზის გამგეობას დღევანდელი შენობა არა ჰყოფნის და ამისათვის ტელეგრაფის სამსახურისა და საპენსიო კასსის განყოფილებები ელისაბედის ქუჩაზედ იქმნება გადატანილი ასათიანის სახლში.

⁂ ქართული საერო ხორო, ალ. კავსაძის და მჭედლიშვილისა, მოგზაურობიდგან დაბრუნდა 7 ივლისს. ხორო გაემგზავრა ტფილისიდგან 20 ივნისს და 7 ივლისამდე გაუმართავს კონცერტები შემდეგ ადგილებში: ქ. გორში 20 ივნისს, დაბა ზესტაფონში 21 ივნ., ქუთაისს—22 ივნ. დაბა სამტრედიას—23 ივნ. დაბა ახალსენაკს—24 ივნისს, ქ. ფოთში—25 ივნ. ქ. ბათუმში—27 და 29 ივნისს, ქ. სოხუმში—1 და 2 ივლისს, დაბა ოჩამჩირეში—4 ივლისს, ქ. ფოთში—6 ივლისს. 17 დღის განმავლობაში ხოროს გაუმართავს 12 კონცერტი. ხოროს გამგეს მჭედლიშვილს და ლოტბარს კავსაძეს განზრახვა აქვთ ქართ-კახეთში და იმერეთში შეაგროვონ ძველის-ძველი სიმღერები და ზამთრისთვის შეამზადონ ხორო, რომელიც უნდა შესდგეს 25 კაცისაგან. ამასთანავე გამგეს გადაუწყვეტია გურული ტანისამოსიც შეიძინოს ხოროსთვის.

⁂ ამ დღეებში საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ბ-ნ მოსკალევმა ტფილისში სამ, ხუთ და ათ მანეთიანის ყალბი ფულის მჭრელნი აღმოაჩინა. ამ საქმის გამო ხუთი კაცი დაამპატიმრეს. ბ-ნ ზეინალოვის სახლში იპოვნეს ფოლადზედ ამოჭრილი ასოები, დასაბეჭდად მომზადებული და 2,500 მანეთი უკვე დაბეჭდილი ქაღალდის ფული.

⁂ არა მგონია, რომ ტფილისში ავჭალისთანა უწეს-რიგო ქუჩა სხვაც იყოს რომელიმე. მართლაცა და თითქმის განგებ ყოველგვარ სისაძაგლეს აქ მოუყრია თავი. ასე გასინჯეთ, ამ ერთს ქუჩაზედ 22 მარტო ლუდხანაა; მაგრამ ლუდხანაც არის და ლუდხანაც. ყოველ დღე ამ ლუდხანებში სულ ცოტა სამი გარყვნილი ქალი გამოულეველია. გარდა ამისა ჯიბგირი, მეარღნე, კინტო და უადგილო ბიჭები აქ იბუდებენ და ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიან. ლანძღვა-გინებას, ჩხუბსა და ცემა-ტყეპას ხომ დასასრული არა აქვს. ამას წინად ერთი პოლიციის მოხელეც კი დასჭრეს ერთს ასეთს ლუდხანაში. ერთის სიტყვით, ამ ლუდხანებისა და იმათში დაბუდებულ ხალხისაგან არა თუ ავჭალის ქუჩაზედ მცხოვრებლებს, გამ-

ვლელ-გამომვლელსაც-კი მოსვენება არა აქვთ. იმათი შიშით გარეთ ვეღარავინ გასულა და ჰაერი ვეღარ ჩაუყლაპია! ამ ცოტა ხნის წინად, მეცხრე ნაწილში ოთხი ლუდხანაში მყოფი ქალი გასინჯეს ექიმებმა და ოთხივე სხვა-და-სხვა გადამდები სენით ავადმყოფი აღმოჩნდა. ნუ თუ არ შეიძლება, რომ როდესაც ამ ნაირი ქალები ლუდით ვაჭრობის ნება რთვის მოწმობებს იღებენ ხაზინაში, მოსთხოვონ ხოლმე ადიგლობრივის პოლიციის მოწმობა ყოფა-ქცევის შესახებ. თუ რომელიმე ცუდი ყოფა ქცევისა გამოდგა, აღუკრძალონ ლუდით ვაჭრობა.

სწორედ დროა, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ არა სასიამოვნო გარემოებას და, ასე თუ ისე, მოსპოს იგი.

⁂ გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორს თავადს ვ. მ. თუმანოვს თავ. დიასამიძეზედ საჩივარი ოლქის სასამართლოში გადაუტანია. მიზეზი ამისა ის არის, რომ სასამართლომ დიასამიძის დანაშაული წინად განზრახულად არ ჩასთვალა და მხოლოდ ნაობახტში ჩაჯდომა გარდაუწყვიტა („ტფ. ფურც.“).

⁂ როგორც გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“ სწერს, კავკასიის რკინის გზაზედ გვოზდევის სისტემის ტელეფონები განსვენებულის ტელეგრაფის უფროსის ინჟენერის ბალიუკევიჩის მიერ განკარგებულის ტელეფონებით იქმნება შეცვლილიო.

⁂ ახალ-სენაკი. თითქმის ყველა სამაზრო დაბაში ყოველ კვირა უქმე დღეებში წესად შემოღებულია დუქნების დაკეტვა, რათა ამით საწყალ ნოქრებს მიეცეს კვირაში ერთი დღე მოსვენებისათვის და წირვა-ლოცვის მოსასმენად. საუბედუროდ ჩვენდა ახალ სენაკში ეს ასე როდი არის! აქ ამ ერთის თუ ორის წლის წინად შემოიღეს დუქნების დაკეტვა. მაგრამ ერთის კვირის შემდეგ ჩვენმა „ხაზეინებმა“ ისევ უარ-ჰყვეს ეს წესი, თითქოს მომაკვდინებელი ცოდვა იყოო. მას აქეთ არც კვირა გააჩნია აქაურს მოვაჭრეს და არც დღესასწაული, ვაჭრობენ და ღია აქვთ დუქნები. აქაურს ნოქრებს ადამიანის ფერი არ აძევთ, ისე გაყვითლებულები არიან დღე და ღამე დუქნების დარაჯობა-ვაჭრობაში. ამიტომ დიდად სასურველია, ამ საქმეს თვისი ჯეროვანი ყურადღება მიექციოს და უარ-ყოფილი წესი კვლავ კანონად დაიდოს. 24 ივნისს ჩვენს დაბაში კონცერტი გაჰმართა ბ-ნმა კავსაძემ. კონცერტი ძალიან მოეწონა აქაურებს. საზოგადოებაც საკმაოდ დაესწრო; ყველა ნასიამოვნები დაბრუნდა, დასასრულ ლეკური ითამაშეს. ლეკურმა და კონცერტმა მხიარულად ჩაიარა. ვისურვებთ წარმატებას ამ ახლად შემდგარ ხოროსას...

ივლისი საშინელი სიცხე-პაპანაქებით დაგვიდგა. ერთი წვიმა მანანაა ჰირნახულისათვის, მაგრამ სად არის. ჰირნახულს ჯერ კარგი პირი უჩანს...

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ბურჯა ნი, 30 ივნისი.** იანვარს აქეთ მეტად იასახელა თავი გურჯაანმა ქურდობით; სულ ცოტა რომ ჩავაგდოთ, ოცზედ მეტი ქურდობა მოხდა. ჯერ იყო ქათმისა და ინდოურის სინსილა გააწყვეს; ქოსმანი ღორი და ცხვარი არავის შეარჩინეს. ჩამოვთვალოთ: 1, მთავარს ს. გ—ვს მოჭპარეს რვა ჩაფი ღვინო; 2, ვასო ქ—ვს მოჭპარეს ოთხი ჩაფი ღვინო; 3, ვასო შ—ვს მოჭპარეს ოცი ლედალი; 4, გასპარა მგ—ძის მოჭპარეს ხუთი ლედალი; 5, ვანკა ო—მეს მოჭპარეს ქოსმანი ცხვარი; 6, გიორგი ჯო—მეს მოჭპარეს ინდოურები და დედლები სიმინდიანათ—საკვნეი მოუნდებათო; 7, იმასვე მოჭპარეს ბეღლიდგან ოცი კოდი პური (ბეღელს ძირი გაუხვრიტეს ბურახოთი); 8, მართა კ—ძისას მოჭპარეს უღელი, შარშან ნაყიდი ხარი. 9, ისაკო მიე—ლს მოჭპარეს ცხენი; 10, გიურქა შაჭუულაშვილს მოჭპარეს ცხენი; 11, სანდრო ე—ლს მოჭპარეს ცხენი; 12, დიაკვანს სანდრო მ—ვს მოჭპარეს ათი ჩაფი ღვინო; 13, საწყალს ვუხალის მოჭპარეს ოთხი ჩაფი ღვინო; 14, ნ. ზუმ—მეს მოჭპარეს ცხვარი; 15, ზ. ბ—ვს მოჭპარეს ბატკანი; 16, მღ. პ. ვ—ვს მოჭპარეს ცხენი; 17, ამ ბოლოს დროს, 18—19 ივნისს ღამით ნ. და ლ. ა—ვების ეზოდგან გაიტანეს სკივრი, რომელიც გატეხეს და წაიღეს—ას ათი თუმანი ნაღდი, 5,000 მ. ბანკის ბილეთი, ექვს გირვანქამდე ვერცხლეული, ხუთიოდე ნაჭერი ოქროული და სხ. წვრილმანი. მაგრამ ენერგიულის მოქმედებით ბოქაულმა ბაკურციხის ნაწილისამ თ. ი. ჯორჯაძემ ლ. რაბიტოვის დახმარებით —ქურდები აღმოაჩინა, ფული და ვერცხლეული მთლად მოატაინეს. ქურდები აღმოჩნდნენ აქაურივე ახალგაზდა გლეხნი ილია იორდანეს ძე ნიბლაძე და სოლია შანშიაშვილი, რომელნიც ჯერ ხანობით ამხანაგებს არ აჩენენ, მაგრამ იმედია დაასახელებენ; დღეს სიღნაღში გამომძიებლის ხელში არიან. ღვინოებიც ამათი მოპარული აღმოჩნდა ერთიანად. ეხლა მთელი სოფელი ქოთ-ქოთებს, რამდენსამე კაცს განაჩენით უპირობენ გარდასახლებას, მათში ასახელებენ ერთს მედუქნესაც, რომლის დუქანი გადაქცეულიაო ნაპარევ-ნაქურდლის შემნახავ და გამსაღებელ ბინად. ამ ვაჟბატონს ახალსოფელში აუგრძალეს ვაჭრობა ამავე „საპატიო ხელობისათვის“; და ამ რამდენისამე წლის წინად აქ გადასახლევინეს ნაქურდალი საქონლის გასაღებისათვის რვა თუმანი ფული. ამ უკანასკნელ ქურდობათა გამო ქურდებში ჩასწერეს და ხელწერილი ჩამოართვეს—„ქურდობა სადა მოხდეს, მოვალე ვარ თვალ ყური ვადევნო და აღმოვაჩინოო.“

ყოველ შემთხვევაში გაფუჭდა, გათახსირდა საზოგადოება; პირადმა ინტერესმა მთლად ინაცვალა საზოგადო საქმეები. აი ამ დროს სწორეთ მისწრება იქმნებოდა გულ-შემატკივარი მაზრის უფროსი და ადგილობრივი მამასახლისი...

X.

### ყაჩაღი სტეფანე ჯიქია.

(წერილი სამეგრელოდან)

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც სამეგრელოს დიდს შიშის ზარსა სცემს გავარდნილი ყაჩაღი სტეფანე ჯიქია. მთავრობამ იმის დასაჭერად ყოველი ღონე მიიღო, მაგრამ მაინც ვერ იქნა და ვერა, ვერ დაიჭირეს იგი. რა-კი ჯიქიამ შეიტყო, რომ მთავრობა მის დასაჭერად ყოველს ღონეს ჰლონობს, თან-დათან უმატა ავ-კაცობას და შეუპოვრად დაიწყო ფართაშობა სამეგრელოს სოფლებში. მოთმინებიდგან გამოსულმა საზოგადოებამ მთავრობას შესჩივლა: „ყაჩაღი სტეფანე ჯიქიას ხელ-შემწყობი კოსტა გვასალია არის, იმან კარგად იცის იმის ამბავი“ ო, რის გამოც კოსტა გვასალია დატყვევებული იქმნა. კ. გვასალიამ თავისი დანაშაული აღიარა და განაცხადა: „თუ განმათავისუფლებთ და თოფ-იარაღს მომცემთ—უსათუოდ ან დავიჭერ ჯიქიას და ან მოვკლავო“ მისცეს კიდეც გვასალიას ბერდანკა და ისიც შეუდგა ჯიქიას დაჭერას. გვასალიამ იცოდა ჯიქიას ასავალ-დასავალი და ერთს დღეს—გვასალიამ დასჭრა ჯიქია, მაგრამ ჭრილობა მსუბუქი გამოდგა, მალე მორჩა. რა კი შეიტყო ჯიქიამ, რომ გვასალია თავს არ მანებებსო, ახლა ესეც შეუდგა სამაგიეროს გადახდას. 2 ივლისს, ახალ-სენაკიდგან 8 ვერსტის მანძილზედ, დილის 8—9 საათზედ, ყაჩაღი ჯიქია ჩაუსაფრდა გზაზედ გვასალიას, რადგანაც აქ უნდა გაევლო იმას, და შესძახა: „ეი, შენ კოსტა, მიცნობ, თუ არა, ვინა ვარ? გაჩერდი ჩამოიხსენი შენი ხელით შენი ბერდანკა“-ო. გვა—ლიას ეთქვა: „ჩამოხსნით ჩამოვიხსნი, მაგრამ არა იმიტომ, რომ გავიქცე სადმე, არამედ შენთან საბრძოლველადაო“. გვასალიას ის იყო უნდა ესროლა თურმე ყაჩაღისათვის, მაგრამ ჯიქიას დაუსწრია და კიდეც ზედი-ზედ ორ-სამჯერ უსროლია. სიკვდილთან ბრძოლის დროს გვასალიასაც ორჯელ უსროლია ყაჩაღისათვის. ამბობენ, ოდნავ დაუჭრია კიდეც ჯიქიაო. გვასალია ამ დღეს ცხენით მიჰყვებოდა ახალ-სენაკში სავაჭროდ მ—მე ხო—ვას ცოლს. ეს ქალიც ყაჩაღს რამდენსამე ადგილას დაუჭრია, მაგრამ სასიკვდილო არა სჭირს-რა. მიზეზი ამ ჯიქიას და გვასალიას გადამტერებისა ეს ქალი ყოფილა. ქალისთვის კიდეც ეთქვა ჯიქიას: „ეს უბედური ამბავი ყოველივე შენი მოქმედება არის, თორემ მე ისე მიყვარდა კ. გვასალია, როგორც საკუთარი ძმა. ამ საქმის ცოდვა შენზედ იყოს და ღმერთმა სამაგიერო მოგივლინოს“-ო. ამასობაში თოფის ხმაზედ ხალხიც მოგროვდა და ჯიქიამ უთხრა ხალხს: „აი, ერთ დროს ჩემი გულითადი მეგობარი კოსტა გვასალია მე მოვკალი, თუმცა-ღა პირველში იმან მომცა მიზეზი, აწი უჭირისუფლეთ ამას, როგორც კანონი და რიგია“-ო. ამ დროს თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა, დაიჩოქა მკვდრის წინაშე და რამდენსამე წუთს იტირა. შემდეგ მკვდარს ახადა ბერდანკა და გაუდგა თავისს გზას.

ეს ამბავი ახალ-სენაკის ადმინისტრაციას აცნობეს. დროებითმა ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა ნიკო ჩიქოვანმა შეჰკრიბა საჭირო კაცები და მიიჭრა იქ, სადაც ეს სამწუხარო ამბავი მოხდა. ბ-ნ ნ. ჩიქოვანს მრავალი ქალი და კაცი დახვდა, ბევრიც ეძებეს ყაჩაღი ჯიქია, მაგრამ ვერ იპოვნეს. სტეფანე ჯიქია, როგორც ამბობენ, ახალგაზდა, შუა ტანის ყმაწვილი კაცია, მარდი და გულადი. სირბილი ისეთი საოცარი იცის თურმე, რომ დიდად მალი ცხენიც ვერ მოეწევა. ამიტომ იგი მუდამ ფეხ-და-ფეხ დადის. რაც ყაჩაღად გავარდა, მას აქეთ იგი ცხენზედ არ შემჯდარა. გვასალიაც მოსული ვაჟკაცი იყო და იმისმა სიკვდილმა ბევრს დასწვა გული... სამწუხარო და სავალალო ჩვენსკენ ის არის, რომ ამ გვარი ბოროტ-მოქმედება ერთობ ხშირია. ხალხი ისე არის შეშინებული, რომ სოფლიდგან სოფლამდე ვერა ჰბედავს წასვლას. თავი რომ მოსჭრათ, ღამით ვერც ერთი გაჰბედავს ერთს ვერსზედ მგზავრობას, რაც გინდა დიდი საჭიროება რამ ჰქონდეს...

ტელეფონი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„ს. პეტერბურგსკია ვედომოსტ“-ში საკმაოდ ვრცელი წერილია „კავკასიის საჭიროებანი“ დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ კავკასიის მცხოვრებთ რამდენი ადგილ-მამული უჭირავთ, რამდენად აკმაყოფილებს იგი მათს საჭიროებასა და საზოგადოდ ნივთიერად რა მდგომარეობაშია. აი, რას ამბობს ავტორი წერილისა ადგილ-მამულის რაოდენობის შესახებ:

უკვე ცნობილია, რომ კავკასიის მცხოვრებთა ეკონომიურად შევიწროვების ერთი უმთავრესი მიზეზი საკმაო ადგილ-მამულის უქონლობაა, რომელიც გლეხობასაცა და მამულის პატრონ თავად-აზნაურობასაც ერთ ნაირად აწუხებს. ამის დასამტკიცებლად საკმაოა მხოლოდ აღვნიშნოთ, მთელს კავკასიაში თითოეულს მცხოვრებს რამდენი ადგილი უჭირავს: ქუთაისის გუბერნიაში ორთა შუა რიცხვით თითოეულს კომლზედ 3,7 დესეტინამდის, ე. ი. 7 დღიური; განჯის გუბერნიაში—4,25 დესეტ., დაღესტნის ოლქში 4,5 დესეტ.; ერევნის გუბერნიაში—3,6 დესიატ.; ზაქათალის ოლქში 4,9 დესიატ., ხოლო ტფილისისა და ბაქოს გუბერნიაში 5,8 დესიატინამდის თითოეულს მცხოვრებზედ. ხოლო თუ მხედველობაში იმ გარემოებას მივიღებთ, რომ მთელის კავკასიის $^1/_2$ (ზოგან-კი $^3/_4$-იც) ტყეებსა, მთებსა, ხევებსა, გზებსა, კარმიდამოებსა და სხვ. უჭირავთ, მაშინ ხომ სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწა შედარებით ბევრად მცირე აღმოჩნდება თითოეულს კომლზედ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ აღნიშნული რაოდენობა ადგილ მამულისა მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით პოლიციის სასტატისტიკო ცნობებიდგან არის ამოღებული, რომელიც 90 წლების დასაწყისში იქმნა შეკრებილი და რომელიც ბევრად შემცდარი აღმოჩნდა შედარებით ამ წლის სახალხო აღწერის პირველ დაწყებით მცხოვრებთა რაოდენობასთან. ამისათვის, ნამდვილი და ტყუარი ცნობები ამ საგნის შესახებ მხოლოდ მაშინ გვექნება ხელთ, როდესაც ამ წლის რუსეთის საყოველთაო აღწერის ანგარიში სავსებით იქმნება გამოცხადებული.

3 მილიონ დღიურიდგან ($1^1/_2$ დეს.) რომელიც მთელს კავკასიაში სხვა-და-სხვა მეურნეობას უკავია, 72% გლეხობას უჭირავს, მხოლოდ დანარჩენი 28% —სამეფო-სწულო უწყებასა და კერძო მემამულეთ. მაგრამ ხსენებული მამულები აქამდის გაფანტულია და განაწილებული, რომ მრავალს შედაკათიან წოდებათა წარმომადგენელსაც კი მხოლოდ სულ 4—10 დესიატ. მიწა აქვს და ესეც სამსა და ოთხს ადგილას, ერთი მეორისაგან დაშორებული.

საგლეხო „ნადელებიც“ საშინლად მცირეა მთელს კავკასიაში. ტფილისის გუბერნიის ბევრს სოფელში, მაგალითად, გლეხს (კომლს) დესეტინაზედ მეტი „სანადელო“ მიწა არა აქვს, სხვაგან კი 3 დესიატინაზედ მეტი არასოდეს არა აქვს. ქუთაისის გუბერნიაში და კავკასიის ყველა გუბერნიებშიაც საშუალო რიცხვით საკომლო „ნადელი“ 3 დესეტინას არ აღემატება. დროებით ვალდებულნი გლეხნი ხომ უფრო ცუდს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი მთელს კავკასიაში. დღემდის ჯერ კავკასიაში გლეხთა 50—70% არ განთავისუფლებულა მებატონეებისაგან, ხოლო გამოუსყიდველი მიწა მთელს 75% შეადგენს. ორთა შუარიცხვით-კი დროებით ვალდებულს გლეხს 3—4 დესეტინაზედ მეტი არ უჭირავსო.

შემდეგ ავტორი სახაზინო გლეხების ყოფა-ცხოვრებას შეეხება და ამბობს, რომ უკეთესს მდგომარეობაში არც იგინი არიანო: რაც კარგი მამულებია, სახელმწიფო ქონებათა ადმინისტრაცია იმათ საჯარო ვაჭრობით ჰყიდდა, ხოლო უვარგისსა და უნაყოფო მამულებს გლეხებს აძლევდა და, ეჭვი არ არის, გლეხობა ასეთს მამულს ვერაფერს გამოჰრჩებაო.

## რუსეთი

—

სენატმა გარდასწყვიტა, რომ ქალაქის სამმართველოთ უფლება აქვთ მათს დაწესებულებაში ნამსახურთ პენსია დაუნიშნონ ხოლმე. ეს საგანი პირველად ეკატერინოსლავის ქალაქის საბჭომ აღძრა, მაგრამ მისი გარდაწყვეტილება ქალაქის საქმეთა საკრებულომ უარ-ჰყო. საქმე ამის შემდეგ სენატში იქმნა გადატანილი. სენატმა საკრებულოს გარდაწყვეტილება გააუქმა და დაადგინა, რომ ქალაქის სამმართველოს უფლება აქვს თავისს მსახურთ პენსია დაუნიშნოს ხოლმეო.

— მომავალის საერთაშორისო გეოლოგიურის კონგრესის წევრთ უფლება აქვთ უფასო ბილეთები მიიღონ დანიშნულ ადგილიდგან პეტერბურგამდე რკინის გზით წასასვლელად და აგრეთე ეკსკურსიებისათვის. ბილეთებს 10 ივლისიდგან 5 ოქტომბრამდე ექმნებათ ძალა.

— როგორც უწმიდესს სინოდს შეუტყვია, ამ ბოლოს დროს ზოგიერთს ეპარქიაში განუზრახავთ, რომ ადგილობრივის სასულიერო წოდებისა და მათის ოჯახობის ნივთიერი მდგომარეობა როგორმე გააუმჯობესონ და საშუალებათა გამოძებნასაც შესდგომიან. ასეთ საშუალებათ, სხვათა შორის, უცვნიათ ის, რომ ერთი ნაწილი (ძალიან მცირე: 1 მან. 50 კ. მღუდელს, 1 მან. მთავარსა და 50 კ. დიაკვანს) ჯამაგირისა დაუჭირონ ხოლმე და შემდეგ ამ ფულით მათს ოჯახობას შემწეობა აღმოუჩინონ ხოლმე.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** დღეს ევროპის ჟურნალ-გაზეთების სალაპარაკოდ ორი საგანი გამხდარა: ერთი საბერძნეთ და ოსმალეთ შორის ზავის შესახებ მოლაპარაკების მსვლელობა და მეორე საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორის რუსეთში წასვლა. ამ უკანასკნელ საგნის შესახებ აქამდის მხოლოდ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთები სწერდნენ, ეხლა კი მთელმა ევროპამ დაიწყო ლაპარაკი. განსაკუთრებით გაზეთები იმის განსჯაში შედიან, თუ რა შედეგი ექმნება ფელიქს ფორის რუსეთში წასვლას და ამის გამო პოლიტიკა სხვა ახალ მიმდინარეობას მიიღებს, თუ ისევ ძველ გზასა და კვალზედ ივლისო. ზოგის აზრით პრეზიდენტის ფელიქს ფორის რუსეთში წასვლას, რაიცა უფრო დააახლოვებს და შეაკავშირებს რუსეთსა და საფრანგეთს, მეტად ცუდი და არა-სასურველი გავლენა ექმნება ევროპის საქმეთა მსვლელობაზედ. საქმე ის არისო, ამბობენ გაზეთები, რომ ორ სახელმწიფოთა ასეთი დაკავშირება და დაახლოვება სხვა ევროპის სახელმწიფოთა მეგობრობას და კავშირს გამოიწვევსო და ამას-კი შეიარაღება, ჯარის გამრავლება და საერთოდ სამხედრო საქმის გაუმჯობესობა და გაწყობა მოჰყვება და პროგრესი, განათლება ნება-უნებურად ყველასაგან მივიწყებული დარჩებაო. შეიძლება ასეთს საქმის ვითარებას ომიც კი მოჰყვეს და, აბა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, რა შესაზარი და ყველასათვის თავს-ზარ-დამცემი იქმნება ეს ომი. ამ კავშირს სახელმწიფოთა ორ დიდ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, ბანაკად დაყოფა მოჰყვებაო, რომელსაც, რასაკვირველია, ცუდი გავლენა ექმნება ევროპის კეთილ-დღეობასა და პროგრესზედ. ასე ლაპარაკობენ ამ ზემოყვანილის აზრის მომხრენი, ხოლო სხვანი საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიკს ფორის რუსეთში წასვლას ამით რუსეთსა და საფრანგეთის უფრო დაახლოვებასა და დაკავშირებას, სულ სხვა თვალით უცქერიან და სხვა მნიშვნელობას აძლევენ. იმათის აზრით, ამის შედეგი ევროპაში მშვიდობიანობისა და მყუდროების დამყარება იქმნება. ორ ძლიერ სახელმწიფოთა კავშირის წყალობით ევროპაში მშვიდობიანობის დარღვევასა და ომის გამოცხადებას ვეღარავინ გაჰბედავს და ამ რიგად ევროპა ხანგრძლივის მშვიდობიანობას მიეცემაო. აი, მაგალითად, რას ამბობს გაზ. „Italie“: ფელიქს ფორის რუსეთში წასვლა ევროპაში ხანგრძლივის მშვიდობიანობის დამყარების თავმდებია. რუს-ფრანგთა კავშირი დიდ წინააღმდეგობას გაუწევს სამთა კავშირს და, ეჭვი არ არის, ერთი მეორის შიშით ომს ვეღარ გაჰბედავს. რასაკვირველია, საქმის ასეთი ვითარება საუკუნოდ არ გასტანს, მაგრამ რაც ხანი იქმნება იგი, ამ ხნის განმავლობაში ბევრს სიკეთესა და სარგებლობას მოუტანს ევროპას. ამიტომ მომავალი დღესასწაულები პეტერბურგში მშვიდობიანობის დამყარების დღესასწაულებად უნდა ჩაითვალოს. ამიტომვე მშვიდობიანობის მომხრენი დიდის სიხარულით მიეგებებიან საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორის რუსეთში წასვლას“.

## დამაკვირდი

ბედნიერება მინასა ჰგავს ბრწყინვალებითაცა და სიმაგრითაც.

**

სიგრილე გულისათვის იგივეა, რაც ზამთარი დედამიწისათვის.

ქ-ნი დოშულიერი

**

არაფერია ისე მუდმივი, როგორც ცვალებადობა; არაფერია ისე აუცილებელი, როგორც სიკვდილი.

ბირონი

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სხვა-და-სხვა სასწავლებლების მოწაფეთა შორის ჟურნალ-გაზეთების შემწეობით მიწერ-მოწერა ძლიერ გაზშირებულია ამ ჟამად ინგლისსა და საფრანგეთში. მარტო საფრანგეთში ამ წლის დამდეგს ჟურნალ-გაზეთების შემწეობით მიწერ-მოწერა ჰქონია 2000 ყმაწვილს, ამათში 1700 ვაჟი ყოფილა და 300 ქალი. ინგლისში ამაზედ ნაკლებს ყმაწვილებს მიუღიათ მონაწილეობა მიწერ-მოწერაში. გარდა ამისა, იქ მეტს ქალს მიუღია მონაწილეობა. 1500 ყმაწვილთა შორის 500 ვაჟი ყოფილა და 1000 ქალი. რადგანაც ჟურნალ-გაზეთებში მიწერ-მოწერა ვაჟებს ცალკე ჰქონდათ და ქალებს ცალკე, ამიტომ საფრანგეთში ვაჟები აკლდათ კორესპონდენტები და ინგლისში ქალები. ყმაწვილთა შორის მიწერ-მოწერის დამაარსებელმა პროფესორმა მიელდე-დრაგინიანმა ამ საქმეს უშველა და გაჰმართა მიწერ-მოწერა საფრანგეთში მცხოვრებ ვაჟებსა და ინგლისელ ქალთა შორის. ამით ორთავე მხარე ნასიამოვნები დარჩა. საფრანგეთსა და იტალიას შორის მიწერ-მოწერის საქმე ასე კარგად ჯერ არ არის მოწყობილი. იტალიაში სულ 500 ყმაწვილს გამოუცხადებია სურვილი საფრანგეთში მცხოვრებ ყმაწვილებთან მიწერ-მოწერისა, საფრანგეთში-კი ასეთი მსურველი სულ 60 ყმაწვილი ყოფილა. უფრო ძნელი აღმოჩნდა მიწერ-მოწერის გამართვა საფრანგეთისა და გერმანიის ყმაწვილებ შორის. ამ მიწერ-მოწერილობით მსურველი არ აღმოჩნდა.

## სასამართლოს მატიანე

პორფირი ავალიანის საქმე.

გუშინ, 7 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის სოფ. ჯვარისის მცხოვრების პორფირი ავალიანისა, რომელსაც ბრალდებოდა განზრახვა პოლიციელის მოკვლისა.

ეს ბოროტმოქმედება მოხდა ამა წლის 22 ივნისს. პოლიციელი სალტიკოვი და ერთიც კიდევ სხვა ღამის 3 საათზედ შევიდნენ ავჭალის ქუჩაზედ მადერის ლუდხანაში, სადაც იმ დროს ხალხი ქეიფობდა. პოლიციელმა ლუდხანიდგან გამოიყვანა მეარღნე და პოლიციაში უნდა წაეყვანა. ბრალდებული ავალიანი გამოესარჩლა მეარღნეს და სცდილობდა გაენთავისუფლებინა. რომ ვერ მოახერხა ეს, ხანჯალი დაჰკრა პოლიციელს მუცელში და მძიმედ დასჭრა.

ბრალდებულმა თვისი თავი დამნაშავედ არ აღიარა და სთქვა, პოლიციელის მოკვლის განზრახვა არა მქონიაო.

ბრალმდებელმა ბ-ნმა რიბინმა სთქვა, რომ ღამის სამ საათზედ კანონით აკრძალულია დუქნებში და ლუდხანებში ქეიფი. მადერისლუდხანაში-კი ამ დროს ხალხი ქეიფობდა. პოლიციელმა მოითხოვა, რომ არღანი აღარ დაეკრათ. ბრალდებულმა და მისმა ამხანაგებმა ეს კანონიერი თხოვნა არ შეიწყნარეს. მაშინ პოლიციელმა მეარღნე წაიყვანა პოლიციაში. ყველა იქ დამსწრე გარდა ბრალდებულისა, ეხვეწებოდა პოლიციელს, ნუ წაიყვანთო. ყველანი ლუდხანაში დაბრუნდნენ. მაშინ ბრალდებული ავალიანი ხანჯლით ხელში გამოეკიდა პოლიციელს სალტიკოვს და მუცელში დასჭრა. მოწმეები ამტკიცებენ, ავალიანი ძლიერ მთვრალი არ იყო, მაშასადამე, კარგად ჰგრძნობდა, რომ ადვილად მოჰკლავდა კაცს, როდესაც მუცელში ხანჯალს არტყამდა. ბრალდებული უარს ამბობს, დამნაშავე არა ვარო, პოლიციელი უცაბედად დავჭერიო და ისიც მაშინ, როდესაც პოლიციელმა ხმალი დამკრა თავშიო. მაგრამ მოწმეები-კი ამტკიცებენ, რომ სალტიკოვმა-კი არ დაჰკრა ხმალი ავალიანს, არამედ მეორე პოლიციელმა დაროგოკუპეცმა, რომელსაც უნდოდა როგორმე ხანჯალი გაეგდებინებინა ავალიანისთვის. დასასრულ ბრალმდებელმა სთხოვა სასამართლოს, ბრალდებული დამნაშავედ იცანით და გადაუწყვიტეთ კატორგაში მუშაობა 15—20 წლის ვადითაო.

ბრალდებულის ვექილმა ბ-მა დრაგნევიჩმა სთქვა, ბრალდებულს სრულებით არა ჰქონია განძრახვა პოლიციელის მოკვლისა, რადგანაც ტფილისიდგან სახლში აპირებდა წასვლას თვისის დის ქორწილში და მხოლოდ შემთხვევით დასჭრა პოლიციელი. სრულიად დამტკიცებული არ არისო, სთქვა ბ-ნმა დრაგნევიჩმა, რომ ავალიანმა პირველად დასჭრა პოლიციელი. უფრო სამართლიანი უნდა იყოს ჩვენება თვით ბრალდებულისა, რომელიც ამბობს, რომ ჯერ პოლიციელმა სალტიკოვმა დამკრა თავში ხმალიო და მერე მე როგორღაც უცაბედად დავჭერი ხანჯლითაო. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ ექცევა პოლიცია ყველას, ვისაც-კი ხელთ იგდებს. ამას წინად რამდენმამე პოლიციელმა სრულებით უმიზეზოთ მიაყენეს შეურაცხება თავ. ციციშვილს (თავმჯდომარემ შეაჩერა ვექილი და უთხრა, ეგ ამ საქმეს არ შეეხებაო). შემდეგ ვექილმა მიაქცია სასამართლოს ყურადღება იმას, რომ ბრალდებული ნაკლებად არის განვითარებული, ამასთან მთვრალი იყო და გულმოსულიო და სხვა მცირე სასჯელი მიუსაჯეთო.

ოლქის სასამართლომ დამნაშავედ სცნა ბრალდებული და გადასწყვიტა: ჩამოერთვას ყოველ გვარი ღირსება და უპირატესობა და გაგზავნილ იქმნას კატორღაში 6 წლის ვადით.

## წერილი რედაქციის მიმართ

სასანიტარო-სამკურნალო ზედ-მხედაობის ინსპექტორის ბ-ნ სტეფანოვისა *).

თითქმის სამს კვირას იბეჭდებოდა თქვენს გაზეთში გულ-მოდგინებითა და ზედ-მიყოლებით ვრცელი წერილები „თავ-ზარ-დასაცემის ამბის“ დასასურათებლად, როგორც უწოდა იმ წერილების ავტორმა „შაუმოვის თევზისა და არუთინოვის ტრიხინიან ღორებისა და ღორების სვე-უბედურს საქმესა“.

უფრო მეტის გულ-მოდგინებითა და ბეჯითობით სთარგმნიდა ამ წერილებს გაზეთი „Кавказъ“-ი. სწორეა თუ არა თარგმნილი იგი წერილები „Кавказъ“-ის მიერ, არ ვიცი, მაგის განსჯას მე ვერ ვიკისრებ. სწორეა მხოლოდ ის, რომ ეგ „მეგობართა გამოლაშქრება“ [1]), სიმართლე უნდა ვსთქვათ, დამთავრებულ იქმნა დანიშნულ დროსათვის. უნდა გამოგიტყდეთ, ბ-ნო რედაქტორო, რომ მე არა ვჩქარობდი პასუხი მეგო თითოეულ წერილზედ ცალკე, რადგან დიდად საინტერესოდ მიმაჩნდა მომესმინა ყოველივე ბოლომდე და ღონისძიება მიმეცა ავტორისათვის გადაეშალა „თავისი გული“ [2]). ახლა, როცა მან სთქვა ყოველივე, რადგან ძნელი საგულვებელია, რომ კიდევ რამ შეიძლებოდეს დაემატოს უკვე თქმულს, იმედი მაქვს, მეც მომისმენთ და თქვენს მკითხველებს აცოდინებთ იმას, რასაც მე ვიტყვი. უპირველეს ყოვლისა მე შევეხები „შაუმოვის თევზების საქმეს“. მაგრამ ვიდრე ვიტყოდე, როგორ იყო ნამდვილად ეგ „საქმე“, ნებას მივცემ ჩემს თავს გკითხოთ, ბ-ნო რედაქტორო, რისთვისა და რა აზრისათვის შეიქმნა საჭირო, რომ სამის წლის შემდეგ ამოგექექათ ეგ საქმე არხივიდგან, საქმე დიდის ხნის წინად მომხდარი და გათავებული, და სახელდობრ ამ ხანად დაგეწყოთ საუბარი იმაზედა?.. რისთვის იყო საჭირო მაგ საქმის „სისრულითა და სავსებით“ მოთხრობა? [3]) იმიტომ რომ „სამართლიანად განკითხულიყო“ ეგ საქმე, როგორც ბრძანებს თვით ავტორი წერილისა, თუ იმისათვის, რომ ეგ იყო შედეგი იმ გონებრივის შეფუცხუნებისა და მღელვარებისა, რომელსაც ვხედავდით ამ ბოლოს ხანს და რომელსაც ვერ დააღწიეს თავი, სამწუხაროდ, იმათაც-კი, ვინც ითვლებოდა ჩვენის საზოგადოების უკეთეს წარმომადგენლებად? ან იქნება ყოველივე ეგე იყო შედეგი მარტო ოდენ გულის-თქმისა? რა იყო და რის შედეგი იყო, მე არ შევალ ამის განხილვაში, დაე ეგ თვითონ მიუდგომელმა და კეთილ-მოაზრე მკითხველმა განსაჯოს; ხოლო მე ვიტყვი, რომ მთლად ამ ისტორიაში ღრმად სამწუხაროა მარტო ის, რომ ავტორმა იკისრა როლი „მიუდგომელის გამკითხველისა“, მაგრამ რადგან შორს არის მიუდგომლობაზედ, ვერ მოახერხა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, არ მოინდომა ჩაჰკვირვებოდა იმ „საბუთების“ აზრს, რომელსაც იგი ასახელებს, არ დაინახა საჭიროდ დასდგომოდა იმ ბრძნულს წესს, რომელიც გვავალებს audiatur et altera pars—და არ მიჰხედა იმ საბუთებს, რომელიც ხელში აქვთ იმათ, ვის „გამკითხველადაც“ მან გამოაცხადა თავი თვისი... ყოველივე ესე საჭირო-კი იყო ავტორისათვის, რომ შეცდომა არ მოსვლოდა, საზოგადოებრივის აზრ-ფიქრისათვის ძალა არ დაეტანებინა წინადვე აჩემებულის და თავისებურობით სავსე ახსნა-განმარტებითა და არ მიემართნა ტყუილის პატეტიზმისათვის, რომელიც ნამდვილად ცარიელ სიტყვების რახა რუხად უნდა გადაქცეულიყო. და აი, ავტორი, გატაცებული იმ სურვილით [4]), რომ უთუოდ „განეკითხა“ და უთუოდ დავგმოვე, სწერს გრძელს წერილს, თითქმის შვიდს სვეტამდე (იხ. „ივერია“, № 81), არ ჰზოგავს არც ძალ-ღონესა და არც მაგარ მაგარ სიტყვებსა და საპატეტიკო კილოთი, გულში ხელების ცემითა და გრძნობათა აღტყინებით მოუწოდებს თავისს მკითხველთ, აბა ჩაუფიქრდითო ყოველს იმას, რაც მომიქმედნია ვითომ მე და ჩემს თანამოძმეს ბ-ნს გონიევს. მერე იქვე ამბობს სრულიად გულ-დამშვიდებული და გულგრილი, რომ მართალია თუ არა ის, რაც მე გიამბეთ, ეგ მე არ ვიცი, მაგის პასუხის გება უნდა მოეკითხოს ბოქაულის თანაშემწეს, რადგან მე იმის მოხსენებაზედ ვამყარებ ჩემ მიერ თქმულსა და მოთხრობილსაო [5]). ვანებებ თავს ამ შეუსაბამობას, რომელიც ასე ეჩხირება კაცს თვალში და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთს შემთხვევაში ისეთის გულ-მხურვალებით ლაპარაკობს ავტორი, ხოლო მეორე შემთ-

---

*) ვბეჭდავთ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის ბ-ნ სტეფანოვის ამ წერილს იმ სახით, როგორც იგი მოგვივიდა, შეუმოკლებლად და შეუსწორებლად. ნომრიანი სხოლიები რედაქციას „ივერიისას“ ეკუთვნის, დანარჩენი-კი თვით ავტორს.
რედ.

[1]) მადლობელნი ვართ, რომ ბ-ნმა სტეფანოვმა ეს „მეგობრობა“ ჩვენს გულში ამოიკითხა. გულთა-მხილაობა კარგი უნარია.

[2]) კიდევ „გული!“ აპოტინეთ ხელი სხვის გულში, რაკი ეგეთი უნარი გქონიათ. ეგ უკეთესი გზაა სიტყვის ბანზე აგდებისათვის.

[3]) რისთვის? იმისთვის, რომ ეს ახირებული საქმეც ისე დავიწყებას მისცა „კულტუროსანთა“ საბჭომ, როგორც არუთინოვის ტრიხინები, და შიში ჩვენის ჯანმრთელობის წახდენისა თქვენს ხელში ისე გაძლიერებულია, რომ ჩვენ ვერ დავივიწყებთ და გვეხსომება, ვიდრე სასანიტარო-სამკურნალო ზედამხედაობა მადლად იქნება ცნობილი ქვეყნიერობისაგან და მატლად გადაქცეული ტფილისის საბჭოსაგან. ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო. ბ-ნი სტეფანოვი ჩვეულია მომავლინებელთა მისთაგან, რომ ამისთანა საქმეები „დავიწყებას“ მიეცეს (გაიხსენეთ არუთინოვის ტრიხინები) და რადღა უნდა გვიკვირდეს, რომ „დავიწყებას“ ჩვეული ბ-ნი სტეფანოვი ამავე „დავიწყებას“ ებღაუჭება, როგორცა სჩანს.

[4]) შაბაშ გულთა-მხილაობას ბ-ნ სტეფანოვისას, გულში ნადებამდე ჩაუწვდენია თვალი! აფსუს, რომ დროსა ჰკარგავს რაღაც სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორობაში და ეს გულთმისნობა არ გაუხდია ხელობად.

[5]) ბ-ნს სტეფანოვს უკვირს, რომ სიმართლე თქმულისა მთქმელს უნდა მოეკითხოს. ვთქვათ, დიდი ცოდვაა „ივერიის“ მიერ, რომ ბოქაულის თანაშემწის ნათქვამის გამო არ იკისრა პასუხის-გება და თვითონ მთქმელს დაავალა. ახლა ჰნახეთ, სწორედ ამისთანავე შემთხვევაში როგორ იქცევა თვითონ ბ-ნი სტეფანოვი. იგი ამ თავისის წერილის დასაწყისში ბრძანებს: „ივერიის“ წერილებს სთარგმნიდა გაზეთი „Кавказъ“-ი. სწორეა თუ არა თარგმნილი იგი წერილები „Кавказъ“-ის მიერ, არ ვიცი, მაგის განსჯას მე ვერ ვიკისრებო. ხომ არც ჩვენ ვიკისრეთ სწორეა, თუ არა ნათქვამი ბოქაულის თანაშემწისა მისს ოფიციალურს მოხსენებაში. ხომ ამ ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე საქციელია, სახელდობრ ისა, რომ სიმართლე თქმულისა მთქმელსა აქვს დავალებული და თუ ეს ცოდვაა „ივერიისათვის“, ბ-ნ სტეფანოვისათვის რად უნდა იყოს მადლი? დიაღ, ბ-ნი სტეფანოვი ერთსა და იმავე საქციელს სხვას ცოდვად უთვლის და თავისს თავს-კი მადლად. აქ რა მოქმედობს: უნარი თვალთმაქციობისა, თუ დავთარ-არეული ლოღიკა? ეს მკითხველმა გამოიცნოს. გეწყამს, ბ-ნო სტეფანოვო, რომ თქვენ ისეთი რჩეული ხართ „კულტუროსანთა“ საბჭოსი, რომ ყოველივე ცოდვა მადლად უნდა ჩაგვეთვალოთ. განა შემდეგ შაუმოვის სელდებისა და არუთინოვის ტრიხინებისა არ დაგამტკიცეს ინსპექტორადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვევაში ისეთის გულ-გრილობით სხვას ახვევს თავს პასუხის გებას—მისი გამოკვლევა ხელოვანის ფსიხოლოგის საქმეა. ხოლო მე პირდაპირ საქმის ვითარების მოთხრობას შევუდგები [6]).

შაუმოვის თევზის ამბავი ავტორის ვერსიით *) ამ სახით არის მოთხრობილი:

1894 წელს შემოდგომაზედ მე-5 უბნის ბოქაულის თანაშემწეს ბ-ნ სიტოვსკის გაეგო, რომ ტფილისის სამს ვაჭარს, რომელთა შორის ორნი ვაჭრობდნენ სარაჯიშვილის ქარვასლაში, ხოლო მესამე ვაჭარი შაუმოვი — დახურულს ბაზარში, მიუღიათ აშტარხნიდან უვარგისი თევზი და ამ თევზის გასასინჯად მიუმართავს ჯერ მთავრობის ხელ ქვეით მკურნალ ბ-ნ რუდკოვსკისათვის, ხოლო რაკი ის სახლში არ დაჰხვედრია, ეს ამბავი უცნობებია მერე ქალაქის გამგეობისათვის. გამგეობის წევრს გაუგზავნია ბ-ნი გონიევი, რომელიც მარტო წასულა თევზის გასასინჯად, მერე მისულა მე-5 უბნის საპოლიციო კანცელარიაში და ვითომ განუცხადებია, რომ „ვიყავი უკვე სარაჯიშვილის ქარვასლაში, შევიტყე, რომ ის თევზი მხოლოდ ამ დღეებში მიუღიათ დაბეჭდილ ბოჭკებითა და რომ ის თევზი დანიშნულია არა ტფილისისათვის, არამედ სხვა ქალაქებისათვის და რომ მე არ მინდა პასუხის-გებაში მივეცე, თუ ვინიცობაა ბოჭკები დავხსენი და ის თევზი კარგი გამოდგაო“. აი საკუთრად ის საბუთები, რომელიც დაედო საფუძვლად ავტორის მიერ წამოყენებულ ბრალდებას მკურნალ გონიევის წინაალმდეგ. ეს ბრალდება რამდენსამე მუხლად არის განყოფილი, სახელდობრ, პირველი მუხლი ის არის, რომ იგი მოიქცა უკანონოდ, რადგან მარტო თვითონ წავიდა თევზის გასასინჯად და თან ბოქაულიც არ წაიყვანა. მეორე მუხლი ის არის, რომ მკურნალმა გონიევმა საჭიროდ არა სცნა გაესინჯა საწყობი შაუმოვისა, როცა ბოქაულმა ის საწყობი დაასახელა, უნდა გაისინჯოსო; მესამე ის არის, რომ გონიევს ეშინოდა (და ეს ბრალდებაა ერთი უმთავრესი ბრალდებათაგანი), ვაი თუ თევზი გაფუჭებული არ იყოსო და ამიტომ მოერიდა ბოჭკების გახსნას და, დასასრულ, მეოთხე მუხლი ის არის (ეს უფრო დიდი ბრალდებაა ვითომ), რომ მკურნალმა გონიევმა გამოაცხადა: „თევზი ტფილისისათვის არ არის მოტანილი, სხვა ქალაქებისათვის არის დანიშნულიო“. ავტორმა დაამყარა ეს მუხლნი ბრალდებისა და მერე მიჰყო ხელი მათს განმარტებასა და ახსნასა. პირველს ორს მუხლში ავტორი ჰხედავს ურჩობას მკურნალის გონიევის მიერ, მესამე მუხლში ის დანაშაულია, რომ გონიევი მოჰრიდებია თავის პირდაპირ მოვალეობის აღსრულებასაო, ესე იგი ბოჭკების გასინჯვასა და გახსნას იმ შიშითა, ვაი თუ პასუხის-გებაში მივეცე, თუ ვინიცობაა თევზი გაფუჭებული არ აღმოჩნდაო, ხოლო მეოთხე მუხლში ის დანაშაულია, რომ გონიევს უარი უთქვამს თევზის გაშინჯვაზედ, თუმცა დარწმუნებული ყოფილა, რომ თევზი „გაფუჭებულიაო“ [7]); უარი უთქვამს მხოლოდ იმიტომ, რომ ეგ თევზი ტფილისისათვის-კი არ არის დანიშნული, არამედ სხვა ქალაქებისათვისაო... რაღა ბრალდება იქნება ამ უკანასკნელ ბრალდებაზედ უსაშინელესი?!

დიაღ, საშინელება იქნებოდა, რომ ყველა ეს ბრალდებანი სრულის დარწმუნებით იყოს წარმოთქმული ავტორის მიერ და რომ მერყეობაში მყოფი ავტორი არ იმეორებდეს, „ჩვენ ყოველივე პასუხის გება აგვიხდია, თუ ბ-ნ ბოქაულის მოხსენებაში რამ აღმოჩნდება უმართლო შესახებ ბ-ნ გონიანცის საქციელისაო“. საკითხავი ეს არის ახლა, სადა სწერია, ბოქაულის რომელს მოხსენებაშია ნათქვამი, რომ გონიევმა უარი სთქვა თევზს არ გავშინჯავო და უარი სთქვა იმიტომ, რომ „გაფუჭებული თევზი ტფილისისათვის-კი არ არის დანიშნული, არამედ სხვა ქალაქებისათვისაო“. წინასწარ აჩემებულ-აკვიატებული აზრი ავტორისა და ულოღიკობა ავტორის დასკვნათა ცხადზედ ცხადია ჩვენთვის. გარნა რათა ყოველივე ეს ცხადი იყოს თქვენთვისაც, ბ-ნო რედაქტორო, და აგრეთვე თქვენის მკითხველებისათვისაც, ისე მოგითხრობთ მაგ ამბავს, როგორც ნამდვილად იყო. პირველ ყოვლისა მთლად ამ ისტორიაში, რომელიც ბ-ნ გონიევს შეეხება, ერთი დიდი შეცდომა და ფაქტიკური უჯერობაა მომხდარი და ეგ უჯერობა სრულიად სცვლის და ჰრყვნის მთელს ამბავს. ავტორი ამბობს, რომ მკურნალმა გონიევმა საჭიროდ არ დაინახა გასინჯვა საწყობისა, თუმცა იგი საწყობი დაუსახელა ბოქაულმაო. ეს მართალი არ არის, მკურნალი გონიევი გაგზავნილ იქმნა 8 ოქტომბერს 1894 წელს მხოლოდ და განსაკუთრებით სალამბეგოვის საწყობის გასაშინჯად სარაჯიშვილის ქარვასლაში. ამიტომ ყოველივე თქმული წერილის ავტორის მიერ ბ-ნ გონიევი შესახებ, ვითომ მან უარი სთქვა შაუმოვის თევზის საწყობს არ გავსინჯავო [8]), ყოველი მისი გაკვირვება-გაოცებანი და წრეს-გადასული სიტყვა. პასუხი არის მხოლოდ ნაყოფი გაუგებრობა შეცდომისა. მერე, რაიცა შეეხება შაუმოვის საწყობს, იგი საწყობი გაშინჯულ იქმნა ორის დღის შემდეგ, სახელდობრ 10 ოქტომბერს, ჯერ მკურნალის რუდკოვსკის მიერ, ხოლო შემდეგ ჩემგან. ეს არის მიზეზი, რომ ავტორს მთელს თავის წერილში ერთი სიტყვა არა აქვს ნათქვამი სალამბეგოვის საწყობის შესახებ; არაფერია ნათქვამი აგრეთვე არც იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა ამ საწყობის გასინჯვას, არც იმაზედ, თუ რამდენი ბოჭკა თევზი იყო სალამბეკოვის საწყობში და სხვ. [9]) ყოველ ამის შესახებ ავტორი განზრახ [10]) მდუმარებს, რადგან, იმას რომ ყოველივე ესე გამოერკვია, ველარ შეიძლებდა თვისის საბრალმდებელო ოქმის შეყენებას. რაკი შევასწორე ეს ფაქტიკური უჯერობა, რაიცა გთხოვთ დაიხსომოთ, ახლა ვიტყვი, რომ ერთი რამ არის მართალი, სახელდობრ ისა, რომ მკურნალი გონიევი მარტო წავიდა თევზის გასაშინჯად, უბოქაულოდ. მაგრამ რაო მერე? თუ უბოქაულოდ იყო წასული, აკი მარტო თვითონ არც არავითარი საქმე არა შეუყენებია-რა. მაშ რა ეჭვი შეიძლება მივიტანოთ იმაზედ, რის გუმანი შეიძლება ვიქონიოთ იმის შესახებ?! უსაფუძვლობა ასეთის ბრალდებისა ყოვლად ცხადია ყველასათვის; დავძენ მხოლოდ, რომ ყოველ-დღე ათჯერა და ოცჯერ ვსინჯავთ სხვა-და-სხვა ნუზლ-სანოვაგეს პოლიციის თანადაუსწრებლადა და ასეთი ჩვენი მოქმედება სრულიად კანონიერ საქმედ მიგვაჩნია [11]).

სალამბეგოვის საწყობის ამბის დანარჩენი ნაწილი-კი სრულიად გადამახინჯებულია ავტორის მიერ. ნამდვილად დავიდარაბა იმაზედ ასტყდა, რომ მკურნალი გონიევი და ბოქაულის თანაშემწე ბ-ნი სიტოვსკი ვერ დაეთანხმნენ ერთმანეთს იმ რიგისა და წესის შესახებ, რა რიგითა და წესითაც უნდა სწარმოებდეს ბლომად თავ-მოყრილის ნუზლ-სანოვაგის გასინჯვა (გასასინჯი იყო 200-ზედ მეტი პატარა ბოჭკა). საქმე იმაშია, რომ ბ-ნს სიტოვსკის შესაძლოდ მიაჩნდა გასინჯვა მკურნალის მიერ შიგა და შიგ რამდენისამე ბოჭკისა და ამ სახით გადაწყვეტა იმისი, ვარგა თუ არა თევზი მთლად 200 ბოჭკაშიაცა; მკურნალმა გონიევმა-კი, როგორცა სჩანს იმის მოხსენებიდან 14 ოქტომბრის 1894 წლის თარიღით, ამისთანა წესი და რიგი თევზის გასინჯვისა კანონიერად არა სცნა, საჭიროა ყველა 200 ბოჭკა გაიხსნასო, და ამასთანავე სთქვა, რომ მარტო მე არ შემიძლიან ამდენის ბოჭკების გასინჯვა და გადაყრა თევზისა, საჭიროა მოწოდებულ იქმნას ხვალისათვის კამისია მკურნალთა, რომელნიც ერთად უნდა შეუდგნენ ბოჭკების გახსნასაო. ხოლო ბ-ნმა სიტოვსკიმ უარი სთქვა, კამისია არ არის საჭიროო, და ამტკიცებდა, ბოჭკები ეხლავე უნდა გაიხსნასო. აი ეს იყო მიზეზი, რომ მკურნალმა გონიევმა უარი სთქვა სალამბეგოვის საწყობის გაშინჯვასა და იმის ბოჭკების გახსნაზედ. რაიცა შეეხება მკურნალის გონიევის სიტყვებს, რომ „თევზი ტფილისისათვის-კი არ არის დანიშნული, არამედ სხვა ქალაქებისთვისაო“, ეგ სიტყვები იყო თქმული პასუხად ბ-ნ სიტოვსკისა, რომელმაც სთქვა, რომ თევზს ეხლავე დაუწყებენ გაყიდვას და, მაშასადამე, დრო აღარ იქმნება მისის გასინჯვისა მკურნალთა კამისიის მიერო. ამ სიტყვებით მკურნალ გონიევს უნდოდა, მაშასადამე, აეხსნა ბ-ნ სიტოვსკისათვის, რომ შენი შიში ამაოა, დრო საკმაოდ იქნება თევზის გასაშინჯად მკურნალთა კამისიისაგან, იმიტომ რომ ეგ ბოჭკები საწყობში უნდა ინახებოდეს, რადგან სხვა ქალაქებისათვის არის დანიშნულიო. და აი ამ ყოვლად მცირე მნიშვნელოვანს სიტყვებს [12]), სრულიად გულ-უბრყვილოდ თქმულს, წერილის ავტორმა გამოაბა კუდი და სულ სხვა ხასიათი მისცა, დახეთ, მკითხველნო, რა ამბავია, მკურნალ გონიევისათვის სიცოცხლე ტფილისის გარეშე მცხოვრებთა არაფერი არა ჰღირს და იმათი მოწამლვა იმისთვის, ვითარცა მკურნალისათვის, „არავითარის ყურადღების ღირსი არ არისო“. ნუ თუ არ აღაშფოთებს კაცს, მკითხველო, დასკვნა ამისთანა აზრისა?! მაგრამ მოისმინეთ შემდეგ კიდევ·

(შემდეგი იქნება)

---

6) კიდევ კარგია, თქვენვე გვიმოწმებთ, რომ აქამომდე რაცა ბრძანეთ, „პირდაპირი საქმის ვითარება“ არ არის. ჩვენც სწორედ ეგრე გვგონია და მხოლოდ გვიკვირს, რად შეწუხებულხართ და ტყუილ-უბრალოდ გარჯილხართ სამჭევრ-მეტყველოდ. ბოლოს თქვენს წერილში ბრძანებთ, რომ მოცალეობა არა მაქვსო. აქ კი აშკარაა მოცლილი ბრძანებულხართ.

*) ეს სვე-უბედური, ნამდვილად-კი უმნიშვნელო «ამბავი», რომელმაც ასე მოაბეზრა ყველას თავი, ბევრ-გვარად და ბევრნაირად იყო მოთხრობილი და განმარტებული ამ სამის წლის განმავლობაში იმისდა მიხედვით, თუ ვის როგორ ეპრიანებოდა და ვინ როგორ უყურებდა ამ საქმეს «მოთხრობელთა» შორის.

7) გთხოვთ გვანიშნოთ, სად არის „ივერიაში“ ნათქვამი, რომ „გონიევს უარი უთქვამს თევზის გასინჯვაზე, თუმცა დარწმუნებული ყოფილა, რომ თევზი გაფუჭებულიაო“. ეს თქვენი მოგონილია და თქვენვე ემუსაიფეთ თქვენს მოგონილს, რაკი მოცლილი ყოფილხართ.

რადგანაც აქ სიტყვა „დარწმუნებული ყოფილა“ მთელს ამ ტირადას თქვენს სასურველს ფერსა და გემოს აძლევს, ამისათვის გთხოვთ ეგ სიტყვები გვანიშნოთ „ივერიის“ წერილში.

8) სად არის „ივერიაში“ თქმული, რომ ვითომც გონიევს ეთქვას „შაუმოვის თევზს არ გავსინჯავო“. გთხოვთ გვანიშნოთ. ესეც თქვენი მოგონილია და ემუსაიფეთ თქვენვე თქვენს მოგონილს.

9) სასაცილო პრეტენზიაა! ჩვენ სალამბეგოვის საწყობზე რად უნდა რამ გვეთქვა, როცა სრულებით სახეშიაც არა გვქონია. ჩვენ შაუმოვის სელდებზე გვინდოდა გვეთქვა, რაც ვიცოდით და ვთქვით კიდეც. რატომ სალამბეგოვზედაც არა სთქვით-რაო და ბოჭკები არ დაუთვალეთო, გაგონილა ამისთანა საყვედური? ბარემ ისიც მოგვკითხეთ, რატომ სხვა მეთევზეებსაც დოშები არ აუწონეთთქო.

10) აი, გულთმისნობას ბ-ნ სტეფანოვისას ჩვენი „განზრახვაც“-კი დაუნახავს. ბარაქალას მეტი რა გვეთქმის.

11) „ყოველ დღე ათჯერა და ოცჯერ ვსინჯავთ სხვა-და-სხვა ნუზლ-სანოვაგეს პოლიციის თანადაუსწრებლადაო“ და კიდეც იმიტომ არ ამოაჩინეთ დამპალი თევზი შაუმოვისა და ტრიხინიანი ხორცი და ლორები არუთინოვისა! ჩვენც მაგას ვჩივით, რომ თქვენი ფიცი გვწამს და ბოლო-კი გვაკვირვებს. თუ დაუნახველს „განზრახვას“ ადამიანისას ეგრე ადვილად ჰხედავთ, დამპალს თევზსა და არუთინოვის ტრიხინიან ლორებზე თვალსა ეგრე ძლიერ რად გეხუჭებათ, რომ დასანახავიც ველარ დაინახეთ?

12) ბ-ნი სტეფანოვი არ უარ-ჰყოფს, რომ ბ-ნმა გონიევმა უთხრა სიტოვსკის: „თევზი ტფილისისათვის-კი არ არის დანიშნული, არამედ სხვა ქალაქებისათვისაო“, რადგანაც ბ-ნ სიტოვსკის ეშინოდაო ვაი თუ კამისიამდე გაყიდვა დაუწყონო, ბ-ნს გონიევს ეს შიში ამ სიტყვებით დაუფრთხიაო, ამტკიცებს ბ-ნი სტეფანოვი. ამისთანა ბაშვური საბუთი გამართლებისა მარტო ტფილისის საბჭოში თუ გასაღდება! ერთი კაი მუშტარი რომ ასჩენოდა თევზის პატრონს აქავ ქალაქში, ვინ და რა იყო თავდები, რომ აქავ არ გაასაღებდა? ნუთუ ბ-ნ გონიევის ცალიერი სიტყვები? თუნდ ესეც არ იყოს,—ის შიში კი—რომ ვაი თუ კამისიამდე თევზის ბოჭკები სხვა ქალაქებში გაისტუმრონ—რაღა იქნა? განა ეს შიში ძირს არ დარჩა, ან ღირსი არ იყო ყურადღებისა? ვინ იყო თავდები, რომ შეშინებული ვაჭარი, მინამ კამისია მოვიდოდა, თევზის ბოჭკებს არ გაისტუმრებდა სხვა ქალაქებში?

ამას ვერ იქმოდა თევზის პატრონიო, ბრძანებს ბ-ნი სტეფანოვი, „იმიტომ-რომ ეგ ბოჭკები საწყობში უნდა ინახებოდეს, რადგანაც სხვა ქალაქებისათვის არის დანიშნულიო“. ესე უთქვამს ვითომ ბ-5 გონიევს და ესევე სჯერა ბ-ნ სტეფანოვს. როგორ მოგწონთ ეს „რადგანაც“ და ეს „იმიტომ“? ერთი იკითხეთ: აქაო და სხვა ქალაქებისათვის დანიშნულიაო, აქედამ განა ის გამოდის, რომ ბოჭკები საწყობში უსათუოდ უნდა ინახებოდეს. თუ ტფილისში გაყიდვა თევზისა იმოდენად შესაძლებელი იყო, რომ ბ-ნმა გონიევმა საჭიროდ დაინახა ამისი შიში დაეფრთხო კიდეც, რა დაუშლიდა შეშინებულს პატრონს თევზისას, აელო და ის ბოჭკები თევზისა სხვა ქალაქებში გაეგზავნა კამისიის მოსვლამდე. აშკარაა, აქ ლოღიკა ბ-ნ სტეფანოვისა, ცოტა არ იყოს, კუნტრუშობს. თუ ეს არა, ხსენებულ შიშს წინ რა დაუდვა ან ბ-ნმა გონიევმა, ან მწე-მქებარობამ ბ-ნ სტეფანოვისამ? სრულიად არაფერი. რაკი ეს შიში ძირს დარჩა, განა აშკარა არ არის, რომ ბ-ნ გონიევს აზრად ეს შიში კი არ ჰქონია, არამე ისა, რომ სხვა ქალაქებმა თუნდ თავში ქვა იხალონ, ჩვენ, ტფილელებს, რა გვენაღვლებაო. ჩვენც ესა ვთქვით „ივერიაში“ და სხვა არაფერი. ჩვენ მარტო ძნელად დასაჯერებელი გვეგონა, რომ ბ-ნს გონიევს ის სამაგალითო სიტყვები ამოეშოს პირიდამ და ამიტომ პასუხის გება ვერ ვიკისრეთ. რაკი ეხლა თვითონ ბ-ნი სტეფანოვი ამაში ემოწმება ბოქაულის თანაშემწეს სიტოვსკის, ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა, რომ მადლობა მოვახსენოთ ბ-ნ სტეფანოვს მართლის შემოწმებისათვის.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 ივლისი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება. საგანგებო ელჩი და მინისტრის რწმუნებული შვეციის მეფის წინაშე ზინოვიევი სულთანთან იქმნა დანიშნული ელჩად, ხოლო სულთანთან მყოფი საგანგებო ელჩი ნელიდოვი იტალიის მეფესთან იქმნა ელჩად.

**ბაქო.** მუსან-ნაგიევის ქარხანა და სადგური სულ მთლად დაიწვა. 600,000 ფუთი ნავთი გადაიბუგა. დაიწვა აგრეთვე ტრაევისა და იუზბაშევის ქარხანა. ცეცხლს მალე ჩააქრობენ.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში ლებონმა განაცხადა, რომ ტიმბუკტუდგან მდევრად წასული ცხენოსანი რაზმი მძარცველთაგან დამარცხებულ იქმნაო. მოკლულ იქმნა და სადღაც გაჰქრა საფრანგეთის ორი ოფიცერი, და ორი უნტერ ოფიცერიო.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ აუწყებენ კონსტანტინეპოლიდგან: „ტევთიკ-ფაშამ განუცხადა ელჩებს, რომ სულთანმა მშვიდობიანად მოლაპარაკების საქმეში მონაწილეობის მისაღებად ზეჰკი ფაშა და საიდ-ედინ-ფაშა დანიშნაო. ელჩებმა უარი განაცხადესო“.

**კონსტანტინეპოლი.** ტევთიკ-ფაშამ ელჩებს მშვიდობიანად მორიგების პროექტი წარუდგინა. ამ პროექტში ოსმალეთი თხოულობს, რომ საზღვარი სალაბრიასა და ხერიაზედ იქმნას გატანილი და 492 მილიონი სამხედრო კონტრიბუცია გადიხადოს საბერძნეთმა, ე. ი. ნახევარ მილიონით იმაზე მეტი, რაც ელჩებმა გადასწყვიტეს და კვალად ითხოვს, რომ კაპიტულიაცია ახსნილ იქმნას.

**ლონდონი.** კერზონმა განაცხადა: ინგლისს კორეაში დიდი ვაჭრობა არა აქვს. ერთად-ერთი აზრი ინგლისისა ის არის, რომ კორეა დამოუკიდებლად დარჩეს და რუსეთს არ შეუერთდეს არც ადმინისტრატიულად და არც თუ ტერრიტორიულად... სომხეთში დიდს გაჭირვებას ჰგრძნობს ხალხი. ოსმალეთის მოხელე ხალხი და მათთან ერთად სალმწიფონი იმასა სცდილობენ, რომ როგორმე შემწეობა და დახმარება აღმოუჩინონო.



სტამბა ქ. მარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.